

**დანართი №1**

**წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (30 00)

*მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი*

**1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**

**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი<sup>1</sup> - სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა

**განმახორციელებელი** - შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

*ათასი ლარი*

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	72 609.0	82 164.5	82 085.1	99.9%	681.2

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

✓ საანგარიშო პერიოდში 53 195 ბუნებრივ და ტექნოგენურ საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის იყო ხანძრები/აფეთქებები/აფეთქების საფრთხეები, ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით ან გაჟონვის საშიშროებით, ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებში, შენობების/ნაგებობების/ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა, სახიფათო გეოფიზიკური და გეოლოგიური მოვლენები, სამთო და წყალზე სამაშველო ღონისძიებები და სხვა;

✓ წყალზე სამაშველო/სამძებრო ღონისძიებების ეფექტურად და ეფექტიანად მართვის მიზნით, სამსახურის საშტატოში განხორციელდა ცვლილებები და შეიქმნა მყვინთავთა აღმოსავლეთის და დასავლეთის დანაყოფები. ასევე გაიზარდა საშტატო ერთეულები და შრომის ანაზღაურების მოცულობა;

✓ ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, სამსახურის მოსამსახურეები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ახორციელებენ გზის სავალი ნაწილების

<sup>1</sup> ივსება იმდენ პროგრამაზე, რამდენ პროგრამასაც მოიცავს მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტი წლიური ბიუჯეტის კანონით.

სპეციალური სადებიზინფექციო ხსნარით დამუშავებას და წყლის ჭავლით გადარეცხვას, შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით;

✓ საქართველოს მთავრობის მიერ კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამსახურის თანამშრომლებმა განახორციელეს მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში სავლე ინფრასტრუქტურის მოწყობა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. კერძოდ, საკარანტინო ზონაში ქალაქ მარნეულში, „ჯეო ჰოსპიტალის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გაიშალა 100 პაციენტზე გათვლილი სავლე ჰოსპიტალი. სავლე ჰოსპიტალის საგანგებო შტაბის ფუნქციონირებას უზრუნველყოფდნენ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები;

✓ „კოვიდ-19-ით“ გამოწვეული საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის მიზნით, სამსახურის მოსამსახურეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი დაბა გუდაურში არსებულ საკარანტინო ზონაში სამედიცინო დახმარების ბრიგადებისათვის დახმარების გაწევასა და ამავდროულად უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებში;

✓ სამსახურის მოსამსახურეები ყოველდღიურ რეჟიმში უზრუნველყოფდნენ გარდაზნის მუნიციპალიტეტში საკარანტინო ზონის უპილოტო საფრენი აპარატით (დრონით) კონტროლს და უსაფრთხოების დაცვას;

✓ „კოვიდ-19-ით“ გამოწვეული საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის მიზნით, მონაწილეობა იქნა მიღებული საქართველოს მთავრობაში სიტუაციური ოთახის ამოქმედებასა და უწყებათშორისი ოპერატიული ცენტრის საქმიანობის უზრუნველყოფაში;

✓ საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, კახეთის რეგიონში მარცვლეული და სხვა კულტურების მოსავლის აღების, გადამუშავებისა და შენახვის პერიოდში, ასევე ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით დაბა აბასთუმანში ხანძრების გაჩენის მომატებული საფრთხის არსებობიდან გამომდინარე, ხანძრებზე დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად შეიქმნა დროებითი მობილური ჯგუფები;

✓ საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მეხანძრე-მაშველთა დამატებითი ჯგუფის მობილიზება განხორციელდა მთა-თუშეთში, სოფელ ქვემო ომალოში და კურორტ ბეშუმში;

✓ 2020 წლის ერთიანი ეროვნულ, საერთო სამაგისტრო, საგნის გამოცდებსა და სტუდენტებისათვის ორგანიზებული საგრანტო კონკურსებზე ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისა და გამოცდების/კონკურსის შეუფერხებლად ჩატარებისათვის საქართველოს მასშტაბით გახსნილ 24-ივე საგამოცდო ცენტრთან გამოცდების მსვლელობის პროცესში მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო ტექნიკა და ეკიპაჟი;

✓ განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის 1274 ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება;

✓ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა განხორციელდა 11 ობიექტზე და შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება სახანძრო უსაფრთხოების ზომების მოსამზადებლად განხორციელდა 1 ობიექტზე;

✓ ქვეყნის მასშტაბით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით სამშენებლო პროექტების განხილვა და მშენებლობის შესაბამისი ნებართვების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაცემა, კერძოდ მიწის ნაკვეთზე შენობის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ - 423 რეკომენდაცია, ასევე, შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე - 1198 რეკომენდაცია, მათ შორის არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე - 338 დასკვნა;

✓ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული იქნა მონაწილეობა 24 ობიექტზე ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების გამოცდაში;

✓ ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებზე განხორციელებული საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისას გამოვლენილ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევებზე შედგა შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 119 ოქმი, აქედან 65 გადაიგზავნა საერთო საქალაქო სასამართლო

კოლეგიაში განსახილველად, ხოლო 54 განხილულ იქნა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციის და რეაგირების სამმართველოს მიერ;

✓ საანგარიშო პერიოდში სახანძრო ზედამხედველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამსახურში გაიმართა 345 საკონსულტაციო შეხვედა;

✓ სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით 2019 წელს ამოქმედდა ცხელი ხაზი, რომელზეც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 940-მდე საკონსულტაციო და საორგანიზაციო ზარი;

✓ საანგარიშო პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მოეწყო არქივი, რისთვისაც განხორციელდა საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2015 - 2019 წლების აკინძული 2000 ცალი საქმის ნომენკლატურულად დასათაურება და არქივისთვის მომზადება;

✓ სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ტერიტორიაზე (მის. ქ. თბილისი, უცნობ გმირთა ქ. N182) დამონტაჟდა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის დამატებითი ვიდეო კამერები და ქსელური მოწყობილობები;

✓ საზღვაო სეზონთან დაკავშირებით, დამსვენებლების უსაფრთხოებისა და სამაშველო მოქმედებების ოპერატიულად უზრუნველყოფის მიზნით, აჭარის ა.რ.; სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონების შავი ზღვის სანაპირო ზოლზე განთავსებულ სამაშველო კომპლექსებზე დამონტაჟდა საბაზო რადიოსადგურები და ხმამაღლა მოლაპარაკე მოწყობილობები.

✓ სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მართვისა და კონტროლის მხარდაჭერის მიზნით, საანგარიშო პერიოდში სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის ქვემო ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მთავარ სამმართველოებში შემავალი დანაყოფების სამორიგეო ნაწილებში განხორციელდა TETRA სისტემის ციფრული ქსელის რადიოსადგურების მონტაჟი და მასზე მუდმივი კვების წყაროს მიერთება. აგრეთვე, საჩხერის, ონის, ლენტეხისა და ხარაგაულის სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში განაწილებულ სახანძრო ავტომატურებში (IVECO-ASTRA) დამონტაჟდა TETRA სისტემის ციფრული ქსელის საავტომატო რადიოსადგურები;

✓ TETRA-ს ციფრული რადიოკავშირის სისტემის დაფარვის არეალის გაფართოების მიზნით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანის ტერიტორიაზე განთავსებულ სატელეკომუნიკაციო ანძაზე დამონტაჟდა საბაზო-საანტენო მოწყობილობები;

✓ TETRA-ს ციფრული რადიოკავშირის სისტემის რადიოქსელის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე განთავსებულ სატელეკომუნიკაციო ანძაზე დამონტაჟდა საბაზო საიტი MTS4;

✓ სამცხე-ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ქ. ბორჯომის სახანძრო-სამაშველო სამმართველოს ახალ შენობაში მოეწყო საკომუნიკაციო ქსელი და დამონტაჟდა ციფრული რადიოკავშირის სისტემის საბაზო რადიოსადგური და უწყვეტი კვების წყარო;

✓ შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სტრატეგიული დაგეგმვისა და ტექნოლოგიური განვითარების დეპარტამენტში განხორციელდა TETRA ციფრული რადიოკავშირის სისტემის მონიტორინგისა და ჩამწერი მოწყობილობის მონტაჟი;

✓ TETRA-ს ციფრული რადიოკავშირის სისტემის დაფარვის არეალის გაფართოების მიზნით, პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში სატელეკომუნიკაციო ანძაზე დამონტაჟდა საბაზო საიტი MTS2;

✓ სამსახურის ანაკლიის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს სახანძრო-სამაშველო განყოფილების ახლადამშენებულ შენობაში ჩაირთო საკომუნიკაციო ქსელი, მოეწყო voip სატელეფონო და კომპიუტერული ქსელი, დამონტაჟდა TETRA სისტემის ციფრულ რადიოქსელში ჩართული MTM5400 საბაზო-სამაგიდო რადიოსადგური და Panasonic LC-R127R2PG აკუმულატორი;

✓ სამსახურის სტრუქტურულ და ტერიტორიულ ქვედანაყოფებში მოეწყო საკომუნიკაციო ქსელის დამატებითი ხაზები;

✓ ტელესაკომუნიკაციო სისტემებით მხარდაჭერის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სამსახურის მოსამსახურეებმა სწავლებაში „მეტროპოლიტენი 2020“ მიიღეს მონაწილეობა;

✓ საანგარიშო პერიოდში დაიწყო სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის (eFss) პილოტირება და პილოტირების რეჟიმში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. გარდა ამისა, მიმდინარეობს სისტემის ფუნქციონალის შემდგომი განვითარება პილოტირების რეჟიმში ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, კერძოდ: განხორციელდა

რუკის მოდულში ჰიდრანტის მონაცემების დამატება, ასევე განკარგულების, შესაბამისობის აქტისა და საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმების ელექტრონული ფორმის შემუშავება.

✓ საანგარიშო პერიოდში სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემას (eFss) დაემატა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ნუსხის მოდული, კერძოდ: სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტების ნუსხა, ამ ობიექტების შემოწმების წლიური გეგმის მოდული და წლიური გეგმის მიხედვით განკარგულებების გენერაციის მოდული;

✓ სამსახურის პროგრამისტების მიერ შემუშავებულ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი ვებგვერდი რომელიც გაშვებული იყო სატესტო რეჟიმში. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა ტესტ რეჟიმის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე და აგრეთვე ძველი საიტოდან მონაცემების ინტეგრაციაზე. ასევე, დამატებულია და სატესტო რეჟიმში გაშვებულია "გამოკითხვის მოდული";

✓ სამსახურის პროგრამისტების მიერ შემუშავებულ სახანძრო და სამაშველო ოპერაციების მართვის საინფორმაციო სისტემის (eFris) პლატფორმაზე ამჟამად მიმდინარეობს ადამიანური რესურსების მართვის მოდულის შემუშავება, მისი ფუნქციონალის განვითარება და პილოტირება. ამ ეტაპისათვის უკვე შემუშავებულია შემდეგი ფუნქციონალი:

- ✓ ორგანიზაციული სტრუქტურის და ორგანიზაციულ სტრუქტურაში თანამდებობების შექმნა/რედაქტირება/წაშლა;
- ✓ ახალი თანამშრომლის დამატება/რედაქტირება/წაშლა;
- ✓ ორგანიზაციულ სტრუქტურაში თანამდებობაზე თანამშრომლის დანიშვნა;
- ✓ თანამშრომლის საძიებო პანელი;
- ✓ თანამშრომლის განათლების, სამხედრო სამსახურის, სამუშაო გამოცდილების და ნათესავ(ებ)ის დამატება/რედაქტირება/წაშლა;
- ✓ აგრეთვე, დაიხვეწა და შეიცვალა თანამშრომლის ზოგადი მონაცემების მოდული;

- საანგარიშო პერიოდში eFris-ს დაემატა ჰიდრანტების მენეჯმენტის ფუნქციონალი, კერძოდ შესაძლებელია:
  - ✓ ჰიდრანტის დამატება;
  - ✓ ჰიდრანტის სტატუსისა და მდგომარეობის განსაზღვრა;
  - ✓ ჰიდრანტის რუკაზე გადატანა;

• საანგარიშო პერიოდში eFris-ს დაემატა მეხანძრე-მაშველთა უნიფორმების შესახებ ინფორმაციის ავტომატიზებული წარმოების ფუნქციონალი, რომლის პილოტირებაც ამჟამად მიმდინარეობს;

• maps.es.gov.ge - დან hydrants.es.gov.ge-ზე მოხდა ჰიდრანტების გადმოტანა და მეხანძრე-მაშველებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში მისამართის და GPS კოორდინატების მიხედვით მოძებნონ ჰიდრანტები;

• საანგარიშო პერიოდში ინტერაქტიული რუკაზე (maps.es.gov.ge) მოხდა საავადმყოფოების დატანა. ფილტრაციის მეშვეობით შესაძლებელია იმ საავადმყოფოების გამოყოფა სადაც მიმდინარეობს COVID 19-ით დაინფიცირებული პაციენტების მკურნალობა. ასევე, მიმდინარეობს 112-ის რუკიდან ინფორმაციის წამოღების შესაძლებლობის (დასახლებები, თბილისის სასწრაფოს ფილიალები, ბანკები, საგანმანათლებლო ობიექტები, ბენზინგასამართი სადგურები, რელიგიური ადგილები, კვების ობიექტები, სახელმწიფო ინსტიტუტები და მედია ობიექტები), საძიებო ველის გადაკეთებისა და მონაცემების ხის სტრუქტურით შენახვის სამუშაოები;

✓ სამსახურსა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თავდაცვის თანამშრომლობის ოფისს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც სამსახურს გადმოეცა ერთი ერთეული სახანძრო ავტომანქანა Renault K330 P 4x4 Medium E3;

✓ საანგარიშო პერიოდში სახანძრო ზედამხედველობის განხორციელების პროცესების დახვეწის მიზნით, შემუშავდა და შესაბამის უწყებებში გაიგზავნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი და "სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი, ასევე 8 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი;

✓ საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს 24 სთ-იან რეჟიმში მომუშავე სამსახურის მოსამსახურეთა კვებით უზღუნველყოფის პროგრამა;

✓ შესყიდული იქნა ერთი ერთეული ივეკო მაგირუსის მარკის 64 მეტრის ანტიკალონი;

✓ წყალზე სამაშველო ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა 10 ერთეული ნავი;

✓ ნაწილობრივ განახლდა სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა (შესყიდულ იქნა სახელოები, გადაამყვანები, გამაფრქვეველი ლულა და სხვა);

✓ ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და დაიწყო სამშენებლო სამშაოები. მშენებლობის დასრულება იგეგმება 2021 წლის I კვ-ს ბოლომდე;

✓ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. ქარელის სახანძრო-სამაშველო ობიექტის ღობისა და კანალიზაციის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მეზობლად მაცხოვრებელ მოსახლეობას;

✓ პოლონელი დონორების მიერ სასუნთქი ბალონების შესანახი, დასამუხტი და შესაკეთებელი ფართის მოსაწყობად სამსახურის მიერ განხორციელდა წინამოსამზადებელი სამშაოები, რაც მოიცავდა სამსახურის ბალანსზე რიცხულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისში, უცნობ გმირთა ქ. N182) რკინაბეტონის მოედნის მოწყობის სამუშაოებს;

✓ ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა საზღვაო მაშველების უნიფორმისა და სპეციალიზირებული ფეხსაცმლის შესყიდვა. ასევე, წყალზე სამაშველო აღჭურვილობის იმ ნაწილის შეძენა, რომელიც აუცილებელი იყო საზღვაო სეზონის გასახსნელად;

✓ 2019 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქ. თბილისის ზღვის ტერიტორიაზე განთავსებულ სამსახურის ობიექტზე სავარჯიშო მოედნისა და სტადიონის მოწყობა;

✓ განხორციელდა სამსახურის ახლადმშენებული/მშენებარე ანაკლიის, მარტვილის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო შენობის ავეჯით უზრუნველყოფის ღონისძიებები;

✓ მეხანძრე-მაშველთა ყოველდღიური და საბრძოლო ფორმით უზრუნველყოფის მიზნით გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, რიგ შემთხვევებში განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორება. ფორმების მოწოდება იგეგმება 2021 წლის I კვ-ს ბოლომდე;

✓ საანგარიშო პერიოდში დასრულდა 2018 წელს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"-ს და სამსახურის ერთობლივი პროექტი რი ერთეული სახანძრო-სამაშველო ავტომობილის საცდელი პროტოტიპის შექმნის შესახებ. აღნიშნული ავტომანქანები ირიცხებიან საბრძოლო გათვლაში და აქტიურად არიან ჩართულნი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში;

✓ აშშ DTRA-სთან თანამშრომლობის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა სამი ერთეული მაღალი გამავლობის მანქანა და ერთი ერთეული ქბრბ მისაბმელი;

✓ საანგარიშო პერიოდში ENPARD პროგრამის საგრანტო პროექტ „PROCEED“-ის ფარგლებში სამსახურის დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო განყოფილებას გადაეცა ერთი ერთეული მაღალი გამავლობის სამაშველო ავტოსატრანსპორტო საშუალება;

✓ გერმანიის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის DAMAST-ის ფარგლებში, სსიპ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდისა გეოფიზიკის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან ჩატარდა საკონსულტაციო შედხვედრა ენგურჰესის გეოსამშრომლების კვლევის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით;

✓ საანგარიშო პერიოდში შპს „აჭარის წყალი ჯორჯიას“ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილ პირებს საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაციული და ტექნიკური გადაწყვეტილებების შემუშავებისა და საგანგებო მართვის გეგმის მომზადების საიკითხებზე, გაეწიათ კონსულტაცია. შესაბამისად მათთვის მომზადდა და გადაეცათ სახელმძღვანელოდ სანიმუშო დოკუმენტები;

✓ სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს გარდაბნის მუნიციპალიტეტში ორგანიზებულ საკონსულტაციო შეხვედრაში. შეხვედრაზე განხილულ იქნა გრესის „გარდაბანი-2-ის“ საგანგებო მართვის გეგმის მომზადების საკითხები. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილ პირებს საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაციული და ტექნიკური გადაწყვეტილებების შემუშავებისა და საგანგებო მართვის გეგმის მომზადების საიკითხებზე, გაეწიათ კონსულტაცია;

✓ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლებთან საკონსულტაციო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის ვალდებულებათა ფარგლებში უწყებათაშორისი თანამშრომლობის განვითარებისა და საგანგებო მართვის

უწყებრივი გეგმების შემუშავების საკითხები. მომზადდა პრეზენტაცია და სანიმუშო მასალები საგანგებო მართვის გეგმებთან დაკავშირებით. აღნიშნული მასალები გადაეცათ ელექტრონული სახით შეხვედრის მონაწილეებს;

✓ სამსახურის მოსამსახურემ „JICA“-ს მხარდაჭერით იაპონიაში გაიარა სამაშველო ტექნიკის შემსწავლელი ტრენერთა კურსი, რომელმაც თავის მხრივ კურსის დასრულების შემოდგომ გადაამზადა სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს 10 მენეჯერ-მაშველი;

✓ საანგარიშო პერიოდში სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის აჭარის ა/რ და სამეგრელო-ზემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარ სამმართველოებში ვიზიტით იმყოფებოდა სამსახურის ფსიქოლოგი, რომელმაც ინდივიდუალური ფსიქოთერაპიული სესიების პარალელურად პირად შემადგენლობასთან განიხილა შემდეგი საკითხები - ფსიქოლოგიური სერვისების მნიშვნელობა და ფსიქოლოგის როლის განსაზღვრა, სტრესის გავლენა ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ტრიგერების იდენტიფიცირება, ნეგატიური გამოცდილების გავლენა ქვევზე - კოგნიტური შეცდომები, ნეგატიური გამოცდილების გადამუშავების მნიშვნელობა და სარგებელი, თავის ტვინის სამი დონე და სტრესზე რეაქციები;

✓ ახალ კორონა ვირუსთან დაკავშირებული პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მიერ აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობდა პარტნიორი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც სამსახურმა მიიღო საერთაშორისო დახმარება პოლონეთის, გერმანიის, დანიის, ლატვიის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებიდან;

✓ საანგარიშო პერიოდში სამსახურის, აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპის სარდლობის, აშშ-თან ორმხრივი თანამშრომლობის ოფისის ორგანიზებითა და საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის N1 და N2 სემინარები;

✓ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს:

- ნატოს სკოლის მიერ ორგანიზებულ კრიზისების მართვის კურსში;
- რუმინეთის ქ. ბუქარესტის კაროლ I-ის სახელობის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კრიზისების მართვისა და მრავალეროვნული ოპერაციების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ კრიზისების მართვის სასწავლო კურსი;
- დიდი ბრიტანეთის მთავრობის კომუნიკაციების ცენტრის სასწავლო პროგრამა „კრიზისების კომუნიკაციების“ დისტანციური კურსში;
- შვედეთის ლუნდის მუნიციპალიტეტი რევიზის ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის სასწავლო პროგრამის ფარგლებში, გამართულ პერსონალის მართვის კურსში;
- აშშ-ს საერთაშორისო ვიზიტორთა ლიდერობის პროგრამით (IVLP) გათვალისწინებული პროექტში - „კატასტროფებისადმი მზადყოფნა და საგანგებო სიტუაციების მართვა“;
- ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის ერთიანი მექანიზმის სასწავლო-პროგრამის „მოლაპარაკება და გადაწყვეტილების მიღების“ კურსი (CND) (ქ. სანკტ გილგენი, ავსტრია);

✓ საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 725 ხელშეკრულება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული სერვისების გაწევის მიზნით, საიდანაც უკვე შესრულებულია 642 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ისეთ მომსახურების გაწევას როგორცაა: სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური კონსულტაციების გაწევა და სხვადასხვა ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

✓ შემუშავებულ იქნა მთავრობის დადგენილებების პროექტი, სადაც მოხდება სამოქალაქო უსაფრთხოების მიმართულებით არსებული სერვისების სახეების მოდერნიზება და ახალი სახეების ჩამოყალიბება;

✓ საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოების ფარგლებში უიმედო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დადგენილი წესით ბალანსიდან მოხსნისა და ჩამოწერის თაობაზე;

✓ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საპასუხისმგებელი შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების რაოდენობრივი და თვისობრივი მდგომარეობის საკონტროლო შემოწმება;

✓ გრძელდება მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის შესამუშავებლად;

✓ უსასყიდლოდ მიღებულ და სახელმწიფო რეზერვში ჩაწყობილ იქნა 1 450 916.94 ლარის (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათას ცხრას თექვსმეტი ლარი და 94 თეთრი) ღირებულების მატერიალური ფასეულობები;

✓ საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად დაფუძნებულ იქნა ააიპ - სამოქალაქო უსაფრთხოების კვლევითი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო და სახანძრო საკითხებში კვლევების წარმოებასა და სხვადასხვა სახის ტრენინგების/სემინარების ჩატარებას ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის;

## დაგეგმილი საბოლოო შედეგები<sup>2</sup>

- ქვეყანაში გაუმჯობესებული სამოქალაქო უსაფრთხოების დონე და მინიჭებული INSARAG-ის კლასიფიკაცია;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში განვითარებული ტექნოლოგიები;
- განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- რეაბილიტირებული სამსახურის ინფრასტრუქტურა;
- განახლებული სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში, განვითარებული სახელმწიფო სერვისები;
- შექმნილი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მარაგები;

## მიღწეული საბოლოო შედეგები<sup>3</sup>

- საანგარიშო პერიოდში 53 195 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება;
- ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შემოწმება, სამსახურის მოსამსახურეთა სპეციალურ სწავლებები და მათი ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შემუშავებული ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვისათვის თანამედროვე სისტემების სამსახურის ყველა დანაყოფისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- შემუშავებული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა;
- ნაწილობრივ განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- გაუმჯობესდა სამსახურის ინფრასტრუქტურა;
- ნაწილობრივ განახლდა სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი;
- ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გაეწიათ ხარისხიანი მომსახურება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში;
- განხორციელდა სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობების მოვლა-შენახვა და აღრიცხვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით;

<sup>2</sup> პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საბოლოო შედეგები შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მოსალოდნელ საბოლოო შედეგებს.

<sup>3</sup> იკვება დაგეგმილი საბოლოო შედეგების ფაქტობრივი შესრულება საანგარიშო პერიოდისთვის, ხოლო თუ დაგეგმილი საბოლოო შედეგი მიიღწევა საანგარიშო პერიოდის შემდგომ, იკვება დაგეგმილი საბოლოო შედეგის პროგრესი საანგარიშო პერიოდისთვის.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი<sup>4</sup>

### 1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი<sup>5</sup>

საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ სხვადასხვა ინციდენტებზე და საგანგებო სიტუაციების დროს ყოველდღიურ რეჟიმში დახმარებას უწევს საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ასევე ახორციელებს სხვადასხვა სახის (სამთო, წყალქვეშა და სახანძრო-სამაშველო) სამაშველო ოპერაციებს.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი<sup>6</sup>

ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების დროს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

### 2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ფუნქცია ცენტრალიზებული გახდა. გაიზარდა სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ნუსხა და ასევე სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დარღვევებისათვის დაწესებული სანქციების ოდენობა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, შემოწმებული ობიექტების რაოდენობა - 5 000 ობიექტი.

### 3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

დღეის მდგომარეობით შექმნილია ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფი (USAR). ჯგუფს მენტორობას უწევს გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახური (THW). დაწყებულია ჯგუფის წევრთა გადამზადება გერმანელი ინსტრუქტორების მიერ სხვადასხვა მიმართულებებით გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის INSARAG-ის კლასიფიკაციის მიღების მიზნით

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფის (USAR) გადამზადება გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახურის (THW) მიერ, შესაბამისი აღჭურვილობის შექმნა.

### 4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონული სისტემა (eFris) დანერგულია და ხელმისაწვდომია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ყველა ტერიტორიულ დანაყოფში.

<sup>4</sup> დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორებს (მათ შორის, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები).

<sup>5</sup> დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში საბაზისო მაჩვენებელს.

<sup>6</sup> დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში მიზნობრივ მაჩვენებელს.



## დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ინციდენტების აღრიცხვისა და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ინსტრუმენტების შექმნა და მათი ფუნქციონალის მუდმივი განვითარება/გაუმჯობესება

### 5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

არ არსებობს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ელექტრონული რეესტრი, დოკუმენტაცია იწარმოება მატერიალურად, რაც საკმაოდ მოუქნელს ხდის აღნიშნულ სისტემას.

## დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის შემუშავება.

### 6. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება/შევსება. დღეის მდგომარეობით გასახლებელია სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 75%.

## დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

5%-ით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

### 7. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

დღეის მდგომარეობით სამსახურის სახანძრო მანქანების დიდი ნაწილი საჭიროებს ჩანაცვლებას.

## დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

#### 1 სახანძრო-სამაშველო მანქანა

### 8. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

დღეის მდგომარეობით სამსახურის მცურავი საშუალებების ნაწილი საჭიროებს ჩანაცვლებას.

## დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

სხვადასხვა ტიპის 10 მცურავი საშუალება

### 9. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

დღეის მდგომარეობით სახანძრო-სამაშველო დეპოების 36%-ზე მეტი საჭიროებს რეაბილიტაციას

## დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

სახანძრო-სამაშველო ობიექტების დამატებით 1% რეაბილიტირებულია.

### 10. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ყოველდღიურ რეჟიმში სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელნიც უზრუნველყოფილნი არიან მაღალი ხარისხის მომსახურებით.

## დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

არსებული მაჩვენებლების შენარჩუნება

### 11. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ამჟამად არ არსებობს სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვა

## დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

### 12. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ამჟამად არ არსებობს სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ნომენკლატურა

## დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის შემუშავება

### 13. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

სააგენტოს მიერ მუდმივად ტარდება შემოწმებები სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში ჩაწყობილი სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობების

## დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების ჩატარება სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში

## დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების დროს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად მოსამსახურეთა ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება/ამაღლება, ასევე ავტოპარკისა და სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის განახლება;

შემოწმდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული 1 274 ობიექტი, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა განხორციელდა 11 ობიექტზე და შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება სახანძრო უსაფრთხოების ზომების მოსამზადებლად განხორციელდა 1 ობიექტზე;

ქვეყნის მასშტაბით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახანძრო ზედამხედველობის მიმართულ რეგულაციებთან დაკავშირებული სამშენებლო პროექტების განხილვა და მშენებლობის შესაბამისი ნებართვების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაცემა, კერძოდ მიწის ნაკვეთზე შენობის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ - 423 რეკომენდაცია, ასევე, შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე - 1198 რეკომენდაცია, მათ შორის არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე - 338 დასკვნა;

2020 წლის 21-23 სექტემბერს, არსებული პანდემიის გათვალისწინებით, გერმანელი მენტორის მიერ ონლაინ ფორმატში ჩატარდა სწავლება სწავლების ჯგუფის (EXCON) წევრებისათვის. ასევე, აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ქართულად ითარგმნა INSARAG-ის 2020 წლის სახელმძღვანელოს (გაიდლაინის) ოთხი კრებული და დაურიგდათ სწავლების ჯგუფის (EXCON) წევრებს.

საანგარიშო პერიოდში ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონული სისტემისთვის (eFris) შეიქმნა ინციდენტების აღრიცხვისა და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ინსტრუმენტები და მიმდინარეობდა მათი ფუნქციონალის მუდმივი განვითარება/გაუმჯობესება. აღნიშნული სისტემა 2019 წელს შეიქმნა და დაინერგა სამსახურის პროგრამისტების მიერ.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო, 2019 წელს სამსახურის პროგრამისტების მიერ დაპროექტებული, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის (eFss) პილოტირება და პილოტირების რეჟიმში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. გარდა ამისა, მიმდინარეობს სისტემის ფუნქციონალის შემდგომი განვითარება პილოტირების რეჟიმში ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, კერძოდ: განხორციელდა რუკის მოდულში ჰიდრანტის მონაცემების დამატება, ასევე განკარგულების, შესაბამისობის აქტისა და საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმების ელექტრონული ფორმის შემუშავება. საანგარიშო პერიოდში სისტემას დაემატა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ნუსხის მოდული, კერძოდ: სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტების ნუსხა, ამ ობიექტების შემოწმების წლიური გეგმის მოდული და წლიური გეგმის მიხედვით განკარგულებების გენერაციის მოდული;

ნაწილობრივ განახლდა სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი (მ.შ. მცურავი საშუალებები), კერძოდ:

- ✓ შეძენილ იქნა ერთი ერთეული ახალი ივეკო მაგირუსის მარკის 64 მეტრანი სახანძრო-სამაშველო ამწე კალათა;
- ✓ სამსახურსა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც სამსახურმა (თანადაფინანსებით) შეიძინა ერთი ერთეული სახანძრო ავტომანქანა Renault K330 P 4x4 Medium E3;
- ✓ აშშ DTRA-სთან თანამშრომლობის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა სამი ერთეული მაღალი გამავლობის მანქანა და ერთი ერთეული ქბრზ მისაბმელი;
- ✓ საანგარიშო პერიოდში ENPARD პროგრამის საგრანტო პროექტ „PROCEED“-ის ფარგლებში სამსახურის დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო განყოფილებას გადაეცა ერთი ერთეული მაღალი გამავლობის სამაშველო ავტოსატრანსპორტო საშუალება;
- ✓ საანგარიშო პერიოდში დასრულდა 2018 წელს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"-ს და სამსახურის ერთობლივი პროექტი ორი ერთეული სახანძრო-სამაშველო ავტომობილის საცდელი პროტოტიპის შექმნის შესახებ. აღნიშნული ავტომანქანები ირიცხებიან საბრძოლო გათვალაში და აქტიურად არიან ჩართულნი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში;
- ✓ წყალზე სამაშველო ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა 10 ერთეული ნავი;

გაუმჯობესდა სახანძრო-სამაშველო ინფრასტრუქტურა, კერძოდ:

- ✓ 2019 წელს დაიწყო და 2020 წელს მიმდინარეობდა ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო ობიექტის სამშენებლო სამუშაოები, რისი დასრულებაც იგეგმება 2021 წლის I კვ-ს ბოლომდე;
- ✓ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. ქარელის სახანძრო-სამაშველო ობიექტის ღობისა და კანალიზაციის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მეზობლად მაცხოვრებელ მოსახლეობას;

✓ პოლონელი დონორების მიერ სასუნთქი ბალონების შესანახი, დასამუხტი და შესაკეთებელი ფართის მოსაწყობად სამსახურის მიერ განხორციელდა წინამოსამზადებელი სამშაობები, რაც მოიცავდა სამსახურის ბალანსზე რიცხულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისში, უკვობ გმირთა ქ. N182) რკინაბეტონის მოედნის მოწყობის სამუშაოებს;

✓ 2019 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქ. თბილისის ზღვის ტერიტორიაზე განთავსებულ სამსახურის ობიექტზე სავარჯიშო მოედნისა და სტადიონის მოწყობა;

✓ განხორციელდა სამსახურის ახლადამშენებული/მშენებარე ანაკლიის, მარტვილის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო შენობის ავეჯით უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ნაწილობრივ შეივსო მებანძრე-მაშველთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ:

- ✓ საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა სამსახურის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის საჭირო სპეციალური ქაფი და აღჭურვილობა, კერძოდ: გამაფრქვეველი ლულა, შემწოვი სახელო, გადამყვანი და სხვა;
- ✓ საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა და სამსახურის პირად შემადგენლობას დაურიგდა 200 ერთეული ტყის ხანძრის საქრობი ზურგჩანთა;
- ✓ საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა სამსახურის მყვინთავებისთვის მუშაობისთვის საჭირო აღჭურვილობის ნაწილი;
- ✓ ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა საზღვაო მაშველების უნიფორმისა და სპეციალიზირებული ფეხსაცმლის შესყიდვა. ასევე, წყალზე სამაშველო აღჭურვილობის იმ ნაწილის შეძენა, რომელიც აუცილებელი იყო საზღვაო სეზონის გასახსნელად;
- ✓ მებანძრე-მაშველთა ყოველდღიური და საბრძოლო ფორმით უზრუნველყოფის მიზნით გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, რიგ შემთხვევებში განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორება. ფორმების მოწოდება იგეგმება 2021 წლის I კვ-ს ბოლომდე;

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 725 ხელშეკრულება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული სერვისების გაწევის მიზნით, საიდანაც უკვე შესრულებულია 642 ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ისეთ მომსახურების გაწევას როგორცაა: სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური კონსულტაციების გაწევა და სხვადასხვა ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

მუდმივად მიმდინარეობდა ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა/მონიტორინგი;

მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის პროექტის შედგენაზე.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე<sup>7</sup>

საანგარიშო პერიოდში ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით სახელმწიფო მიერ განხორციელებული შეზღუდვების შედეგად შეფერხდა სამსახურის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მიმდინარეობა, კერძოდ:

- 2020 წლის განმავლობაში შემოწმდა მხოლოდ 2 907 სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული არსებული და სამშენებლო ობიექტები, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 58,14%-ია;
- საანგარიშო პერიოდში ასევე დაგეგმილი იყო ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფის (USAR) გადამზადება გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახურის (THW) მიერ შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა და სამსახურისათვის გადმოცემა, რაც ასევე შეფერხდა COVID 19-ის გამო;
- 2019 წელს დაიწყო და 2020 წელს უნდა დასრულებული ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო ობიექტის სამშენებლო სამუშაოები, რაც გადაიდო 2021 წლის I კვარტლის დასრულებამდე;

<sup>7</sup> ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში

